საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №278/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 05 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- - - მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №278/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- პირადად, სატელეფონო საუბრის დროსაც და ასევე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მეშვეობით, არაერთგზის დამუქრებია მას. მოტივად, მომჩივანი მიუთითებს მასსა და მოსამართლის დისშვილს შორის არსებულ ურთიერთობას, რასაც თავად მოსამართლე ეწინააღმდეგებოდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლის დისშვილი იყო მისი შეყვარებული.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლეს წინა პოლიტიკური მმართველობის პირობებში ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას ავალებდნენ, რასაც თავად არ ეთანხმებოდა. ასევე, მოსამართლე -- -- უშუალო მფარველობით, საქმის განმხილველ მოსამართლესთან მისი ნაცნობობით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა მოსამართლე -- -- ნათესავი. აღნიშნულ ფაქტებზე, როგორც მომჩივანი განმარტავს, მას ესაუბრა მოსამართლის დისშვილი.

საჩივარში ასევე მითითებულია, რომ მოსამართლე კვლავ აგრძელებს მუქარას. საჩივრის ავტორი საუბრობს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც -- სასამართლოს წარმოებაშია. იგი ვარაუდობს, რომ მოსამართლე -- --, რომელიც ამავე სასამართლოს მოსამართლეა, ეცდება თავისი „ნაცნობობის“ გამოყენებას, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის მიზნით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 22 სექტემბერს, შს სამინისტროს -- პოლიციის დეპარტამენტის -- სამმართველოს -- განყოფილების მიერ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №-- საქმეზე, -- -- მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2018 წლის 25

სექტემბერს, -- -- ცნობილია ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 1511 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

-- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, პროკურორ -- -- შუამდგომლობა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა; ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიებად განესაზღვრა გირაო, ლარის ოდენობით. -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 03 ოქტომბრის განჩინებით, -- -- რაიონული პროკურატურის პროკურორის საჩივარი, -- სასამართლოს 2018 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქმეზე, წინასასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 13 ნოემბერს, ხოლო არსებული მდგომარეობით, -- სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში საქმე იმყოფება არსებითი განხილვის ეტაპზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 41 პუნქტის შესაბამისად, -- -- გამწესდა -- სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, 2015 წლის 1 აგვისტოდან. დადგენილია, რომ მოსამართლე -- -- საჩივრის ავტორის სს საქმის არცერთ ეტაპზე მონაწილეობა არ მიუღია.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 30 იანვრის სატელეფონო აქტის შესაბამისად, დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის გამოკვლევისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მიზნით, 2019 წლის 30 იანვარს, 17:00 საათზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში დაინიშნა შეხვედრა საჩივრის ავტორ -- -- (შეხვედრის დრო შეთანხმდა მომჩივანთან). შეხვედრაზე საჩივრის ავტორი არ გამოცხადდა. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 30 იანვრის სატელეფონო აქტის თანახმად, -- -- საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, 2018 წლის 30 იანვარს, 17:00 საათზე გარკვეული მიზეზების გამო, ვერ გამოცხადდა. მან ასევე შეთავაზებაზე, უახლოეს მომდევნო დღეებში, მისი თავისუფალი დროის გათვალისწინებით შემდგარიყო შეხვედრა, უარი განაცხადა. სატელეფონო საუბრისას -- -- განემარტა უფლება, საქმის წარმოების ვადების ფარგლებში, სურვილის შემთხვევაში, კვლავ მოემართა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისთვის ახსნა-განმარტების მიცემის მიზნით. შეხვედრის თაობაზე ინიციატივა მომჩივანს არ გამოუხატავს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 05 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია), დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის ნორმების დაცვა ერთ-ერთ უმნიშველოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის განმტკიცების თვალსაზრისით. ყველა შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობის ღირსებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სამოსამართლო ინსტიტუციების მიმართ.

განსახილველ საქმესთან მიმართებაში მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მერეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნა, კერძოდ:
(8)...უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.
(12) უფლებამოსილებანი, რითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი განისაზღვრება არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით და ქვეყნის ერის სურვილით, არამედ საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების პრინციპებით, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 4.8. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მისმა ოჯახურმა, სოციალურმა ან სხვა ურთიერთობებმა არაჯეროვანი ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლის ქცევაზე ან სამოსამართლო გადაწყვეტილებაზე. ამავე პრინციპების 4.9. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს და არც სხვა ასარგებლოს სამოსამართლო პრესტიჟით მოსამართლის, ან მისი ოჯახის წევრის ან ვინმე სხვის პირადი ინტერესის განხორციელების მიზნით, არც შექმნას ან სხვას შეაქმნევინოს იმის შთაბეჭდილება, რომ ვინმე არის სპეციფიურად უფლებამოსილი არაჯეროვანი ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

საჩივარში მითითებულია სასამართლოს გარეთ, მოსამართლის ქმედებაზე. კერძოდ, მოსამართლის მხრიდან პირადად, მათ შორის სატელეფონო საუბრისას, საჩივრის ავტორის მიმართ მუქარაზე. ასევე მომჩივანი აღნიშნავს, მოსამართლის დავალებით, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ მის მიმართ მუქარის ფაქტზეც. პარალელურად, საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის შემთხვევებზე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მოსამართლე -- -- ახორციელებდა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე, პირადი ინტერესებით განპირობებულ კომუნიკაციას სხვა მოსამართლესთან. ასევე, თავადაც, სხვა პირთა მხრიდან აკრძალული კომუნიკაციის შედეგად, იღებდა ნების საწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს.

კონკრეტულ ინფორმაციას საკითხებზე, თუ ვინ იყო ზემოაღნიშნული სამართალდამცავი პირი, რომელ მოსამართლესთან/კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ახორციელებდა აკრძალულ კომუნიკაციას მოსამართლე -- --, ან ვისი უშუალო ზეგავლენით იღებდა იგი გადაწყვეტილებებს, საჩივარში მითითებული არაა. ასევე სადავო ფაქტებთან დაკავშირებით, საქმეზე არაა წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარების ამონაწერები (მუქარის ფაქტთან მიმართებით). მითითებული არაა პირები, რომლებმაც შეიძლება დაადასტურონ ფაქტების ნამდვილობა. ასევე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მცდელობის

მიუხედავად, საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე, გარემოებათა დაზუსტებასა და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენაზე.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ მოსამართლე -- -- მოსამართლის თანამდებობაზე განწესდა 2015 წლის 1 აგვისტოდან. საჩივარში მითითებული ინფორმაცია კი მოცემულთან წინააღმდეგობრივია. კერძოდ, როგორც აღინიშნა, მოსამართლე -- -- არ გახლდათ მოსამართლე 2012 წლამდე არსებული პოლიტიკური მმართველობის პერიოდში, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ვარაუდს, სადავო პერიოდში მოსამართლის საქმიანობაში არაჯანსაღი ფორმით ჩარევასთან დაკავშირებით.

ამდენად, წარმოდგენილი მოცემულობაში საჩივარში მითითებული ფაქტები და არგუმენტები არ ეფუძნება არცერთ მტკიცებულებას, ხოლო ფაქტების ნამდვილობის გადამოწმების ყველა შესაძლებლობა, კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით, ამოწურულია (დისციპლინური სამართალწარმოების ორგანოსთან საჩივრის ავტორმა არ ითანამშრომლა). აღნიშნულის გათვალისწინებით, შეუძლებელია დასაბუთებულად ვივარაუდოთ მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №278/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი